# საჯარო სამართლის იურიდიული პირი
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ბრძანება №01-08/24

ქ. ბათუმი 20 ივნისი, 2014წ.

## სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13, 25-ე მუხლებისა და ბსუ-ს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2014 წლის 06 ივნსისის №2387 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრის - ( 1 წარმომადგენელი) არჩევნები ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან საბჭოს უფლაბამოსილების დარჩენილი ვადით.
2. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნები ჩატარდეს 2014 წლის 04 ივლისს (არჩევნები იწყება 10 საათზე და მთავრდება 17 საათზე).
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახიN3) 2014 წლის 23 ივნისიდან – 2014 წლის 2 ივლისის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე;
4. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
5. ფაკულტეტის დეკანს დაევალოს უზრუნველყონ საარჩევნო კომისია სამუშაო ოთახით.
6. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი, პროფესორი** **ა. ბაკურიძე**